პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 143 (13228) | შაბათი, 19 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზუბინ თბილისში მუშაობა დაიწყო საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ. დილიდანვე რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი აივსო დეპუტატებით — მუშებით და კოლმეურნეებით, პარტიული და საბჭოთა მუშაკებით, ინტელიგენტური შრომის ადამიანებით.

ეს სურათი გადაიღეს „კომუნისტის" ფოტოკორესპონდენტებმა ვლ. ბინზბურგმა და შ. ჩხეტიანმა დარბაზში, სადაც მიმდინარეობდა სესიის მუშაობა. დეპუტატები ისმენენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, დეპუტატ ბ. ი. ჩოგოვაძის მოხსენებას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია

18 ივნისის დილის სხდომა

კომუნიზმის მშენებლობაში ახალი დიდი და სახელოვანი გამარჯვებებით აღინიშნება ჩვენს ქვეყანაში შვიდწლედის უკანასკნელი წელი. სასიხარულო ამბები მოდის ქარხნებიდან, ფაბრიკებიდან, შახტებიდან, ახალშენებლობებიდან, საყოლმეურნეო მინდვრებიდან. მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები, მეცნიერები თავიანთი შრომით ხალხის სამსახურში აყენებენ სულ ახალ ბუნებრივ სიმდიდრეებს. მეცნიერულ-ტექნიკურ აღმოჩენებს. საბჭოთა ადამიანი ისტორიაში პირველი გავიდა სამყაროს უსაზღვრო სივრცეებში.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმები, რომლებმაც ახალი ვრცელი პორიზონტები დასახეს მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი ზრდისათვის. იმ დიდი გეგმებისა და ამოცანების განსახორციელებლად ბრძოლაში მონაწილეობისათვის, რომლებიც პარტიამ დაუსახა საბჭოთა ხალხს.

მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური პოლიტიკისაკენ არსებითი შემობრუნება განახორციელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა. ამუამად პარტიის დიდი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მეცადინეობა იმისათვის, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის ამ საარსებო მნიშვნელობის დარგის მდგომარეობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიება გამსჭვალულია დაუცხრომელი ზრუნვით ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მშრომელთა მზარდი სულიერი და მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

ადამიანის კეთილდღეობისათვის, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის ახალი, მკაფიო დადასტურებაა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია, რომელიც 18 ივნისს გაიხსნა.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი სავსეა დეპუტატებით. ესენი არიან სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის. ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები. ისინი შეიკრიბნენ რესპუბლიკის პარლამენტის სხდომაზე, რათა იმსჯელონ დიდმნიშვნელოვან საკითხებზე, შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი განხორციელებისათვის.

დილის 10 საათზე დაიწყო საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის პირველი სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდასთან სხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი რ. რ. დვალი, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ხ. ს. ბლაქბა, ვ. კ. კულუმბაგოვი, ლ. ო. ლეონიძე, ე. ა. სალუქვაძე.

მთავრობის ლოჟებში სხედან ამხანაგები: მ. ი. კუბაკა, ვ. ა. მუკანანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. გ. სტურუა, რ. ი. ფაუნიძე, გ. ხ. ძოწენიძე, გ. დ. ჯაბახიშვილი, გ. ი. ჩოგოვაძე, ო. ე. ჩერქეზია, შ. ა. დოლიძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს სსრ მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა რ. რ. დვალმა.

უმაღლესმა საბჭომ დაამტკიცა სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი. საკითხი შეიკვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს კანონმდებლობის დაცვის, ფიზიკური კულტურისა და სოციალური უზრუნველყოფის და სოფლის მეურნეობის მუდმივი კომისიების ანგარიშები. საკითხი შეიკვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. საკითხი შეიკვნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

დამტკიცდა სესიის მუშაობის რეგლამენტი და რიგი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, დეპუტატმა ბ. ი ჩოგოვაძემ გააკეთა მოხსენება „რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი".

სესიამ მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. მ. მამულაძის თანამოხსენება.

მოხსენებისა და თანამოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები ი. ა. შევარდნაძე (არგვეთის საარჩევნო ოლქი, ხაჩხერის რაიონი), ვ. ო. კობახია (ოლხიდის საარჩევნო ოლქი, გაგრის რაიონი), ლ. მ. უალება (ლენინის საარჩევნო ოლქი, ქ. ბათუმი), ზ. ნ. გასიევი (ცვაისის საარჩევნო ოლქი, ჯავის რაიონი), უ. თ. ცაკვიტინიძე (წერეთლის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), თ. ვ. გელოუსოვა (მოსკოვის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ვ. დ. ღოღობერიძე (განთიადის საარჩევნო ოლქი, გაგრის რაიონი), საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს უფროსი ვ. ბ. ქერაძე, დეპუტატი ზ. ა. ტვილდიანი (ოქტომბრის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი), ბოლნისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ბ. ალიევი.

ყველა ორატორმა აღნიშნა, რომ ჩვენს ქვეყანაში ადამიანი გარემოსილია დიდი ყურადღებითა და ზრუნვით. ბევრი რამ კეთდება მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის ამაღლებისათვის. დიდდება საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა რაოდენობა, ყოველწლიურად იზრდება მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა.

ამასთან ერთად ორატორებმა აღნიშნეს ნაკლოვანებანი, რომლებიც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაშია. საკმარისი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის ზრდის ტემპი. ასეთი ტიპის ყველა საწარმოს როდი აქვს სათანადო ნაგებობანი და მოწყობილობა. უკეთესი უნდა იყოს ავრეთვე შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი. ჯერ კიდევ დიდია განსხვავება ქალაქისა და სოფლის მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების დონეში.

ამით საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის დილის სხდომა დახურულად ცხადდება.

18 ივნისის საღამოს სხდომა

საღამოს სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ე. ა. სალუქვაძე.

სესია კვლავ განიხილავდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ბ. ი. ჩოგოვაძის მოხსენებას „რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი" და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. მ. მამულაძის თანამოხსენებას.

ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებაში დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმები, რომლებმაც ახალი ვრცელი პორიზონტები დასახეს მშრომელთა ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის შემდგომი ზრდისათვის. იმ დიდი გეგმებისა და ამოცანების განსახორციელებლად ბრძოლაში მონაწილეობისათვის, რომლებიც პარტიამ დაუსახა საბჭოთა ხალხს.

მეცნიერულად დასაბუთებული ეკონომიური პოლიტიკისაკენ არსებითი შემობრუნება განახორციელა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა. ამუამად პარტიის დიდი მუშაობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია მეცადინეობა იმისათვის, რომ ძირეულად გაუმჯობესდეს სოფლის მეურნეობის, სახალხო მეურნეობის ამ საარსებო მნიშვნელობის დარგის მდგომარეობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყველა ღონისძიება გამსჭვალულია დაუცხრომელი ზრუნვით ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, მშრომელთა მზარდი სულიერი და მატერიალური მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

ადამიანის კეთილდღეობისათვის, ხალხის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის ზრუნვის ახალი, მკაფიო დადასტურებაა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესია, რომელიც 18 ივნისს გაიხსნა.

რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზი სავსეა დეპუტატებით. ესენი არიან სახელოვანი მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის. ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული მუშაკები, ოლქი, ლანჩხუთის რაიონი), რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს უფროსი მ. დ. ლეთოდიანი, დეპუტატები ვ. ი. მამასახლისოვი (გუმისთის საარჩევნო ოლქი, გულრიფშის რაიონი), პ. ა. დეკანოძე (დვირის საარჩევნო ოლქი, ბორჯომის რაიონი), ნ. ნ. აბდანიძე (აკაკი წერეთლის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი).

ორატორებმა აღნიშნეს, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საქმეში მიღწეულია გარკვეული წარმატებანი, უფრო მრავალფეროვანი გახდა საყოფაცხოვრებო მომსახურება. მწყობრში დგებიან ამ პროფილის ახალი საწარმოები.

გამოსულნი აღნიშნავდნენ ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში არსებულ ნაკლოვანებებსაც, შეჩერნდათ კონკრეტული წინადადებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სახავდნენ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების გზებს.

შემდეგ სესიამ მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგის პირველ საკითხზე კამათის შეწყვეტის შესახებ.

სამოლოო სიტყვა მოხსენების გამო — „რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი" წარმოთქვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ბ. ი. ჩოგოვაძემ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს დადგენილება „რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ".

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის საღამოს სხდომა. (საქდესი).

საბჭოთა კავშირ—შვეიცარიის ერთობლივი კომუნიკე

საბჭოთა მთავრობის მოწვევით შვეიცარიის პრემიერ-მინისტრი ტაგე ერლანდერი მეუღლითურთ 1965 წლის 10-18 ივნისს ვიზიტით იმყოფებოდა საბჭოთა კავშირში. პრემიერ-მინისტრ ერლანდერს ახლდნენ მინისტრი უ. პალმე მეუღლითურთ, აგრეთვე შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პრემიერ-მინისტრის კანცელარიის თანამშრომლენი.

პრემიერ-მინისტრი ერლანდერი და მისი თანამხლები პირები ეწვივნენ მოსკოვს, ტაშკენტს, სამარყანდსა და ყირიმის სამხრეთ ნაპირს.

მოგზაურობის დროს მათ შესაძლებლობა ჰქონდათ გასცნობოდნენ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო საწარმოებს, აგრეთვე სხვადასხვა საზოგადოებრივ და კულტურულ დაწესებულებებს.

ვიზიტის დროს პრემიერ-მინისტრ ერლანდერს ჰქონდა შეხვედრები და საუბრები ლ. ი. ბრეჟნევთან, ა. ნ. კოსიგინთან, ა. ი. მიკოიანთან. ამ შეხვედრებმა შესაძლებლობა მისცა ორივე მხარეს მეგობრულად და გულახდილად გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის აზრები საერთაშორისო მდგომარეობისა და საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ურთიერთობის განვითარების შესახებ.

საუბრებში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საბჭოთა კავშირის ელჩი შვეიცარიაში ნ. დ. ბელოსეზერკოვი და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს სკანდინავიის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ვ. ზახაროვი;

შვეიცარიის მხრივ — მინისტრი უ. პალმე, შვეიცარიის ელჩი სსრ კავშირში გ. იარინგი, შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი ლ. ბელფრაგე, სტატს-მდივანი ვ. პოლსონი და შვეიცარიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკური განყოფილების უფროსი, ელჩი რ. ხიჩენს ბერგსტრომი.

მოლაპარაკებმა მსჯელობაში ორივე მხარემ ერთსულოვნად გამოთქვა აზრი, რომ ისეთი ამოცანების გადაჭრა, როგორიც არის ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობისა და მათი სოციალური პროგრესის უზრუნველყოფა, მოითხოვს, რომ მჭიდრო, ნდობაზე დამყარებული თანამშრომლობა და მშვიდობიანი თანაარსებობა იყოს სახელმწიფოებს შორის, მიუხედავად იმისა, თუ როგორია მათი საზოგადოებრივი სისტემა და იდეოლოგიური მიზანდასახულობა. ყველა სადავო საკითხი სახელმწიფოებს შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად უნდა წყდებოდეს მშვიდობიანი გზით — მოლაპარაკების საშუალებით სრული თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოთა სამინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

მხარეებმა სინანულით აღნიშნეს, რომ საერაშორიელი კონფლიქტების კერები მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ანხელებენ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება უზრუნველყოფდა საერთაშორისო დაძაბულობის მყარ შენელებას. ორივე მხარემ განსაკუთრებული შემფოთება გამოთქვა იმის გამო, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ამბები საშიშრად ვითარდება.

განიხილეს აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებისა და პასუხისმგებლობის საკითხი. მიაღწიეს თანხმობას იმაზე, რომ საჭიროა განამტკიცონ გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, როგორც ინსტრუმენტი მშვიდობის და საერთაშორისო უშიშროებისა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების განუხრელად დაცვის საფუძველზე. ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა გამონახონ იმ სიძნელეთა აღმოფხვრის გზები, რომლებიც ამჟამად ართულებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუშაობას.

მოლაპარაკების მსვლელობაში განიხილეს განიარაღების პრობლემა. ორივე მხარე ერთსულოვნად ადგას იმ აზრს, რომ საჭიროა განახორციელონ გამალებული შეიარაღების შეზღუდვის ნაწილობრივი ღონისძიებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და გააადვილებენ წარმატების მიღწევას საყოველთაო და სრულ განიარაღების გზაზე. ამასთან ხაზი გაუსვეს, რომ თავიდან აცილებულ უნდა იქნას ატომური იარაღის შემდგომი გავრცელება.

ხაზი გაუსვეს აგრეთვე ევროპის უშიშროების პრობლემების მშვიდობიანი და მტკიცე გადაჭრის მნიშვნელობას.

მოლაპარაკების დროს აღინიშნა, რომ საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის ურთიერთობა მეტად დამაკმაყოფილებლად ვითარდება. ამას, კერძოდ, ხელი შეუწყო ურთიერთ ვაჭრობის ზრდამ და კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის მნიშვნელოვნად გაფართოებამ. მხარეების აზრით, არის კარგი წანამძღვრები იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაფართოვდეს და გადიდდეს საბჭოთა კავშირ-შვეიცარიის ვაჭრობა მიმდინარე წლის დამდეგს ხელმოწერილი ექვსწლიანი შეთანხმების საფუძველზე. აგრეთვე აღინიშნა, რომ არსებობს ხელსაყრელი შესაძლებლობანი, რათა განაგრძონ და კიდევ უფრო განავითარონ კულტურის, მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში გაცვლა, რომელსაც უკვე ანლა მრავალმხრივი ხასიათი აქვს.

საუბრებმა დაადასტურა, რომ შვეიცარიის ტრადიციული ნეიტრალიტეტის პოლიტიკა დიდმნიშვნელოვანი წვლილია ჩრდილოეთ ევროპის სიმშვიდისა და უშიშროების საქმეში.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამართული საუბრები სასარგებლო იყო ურთიერთგაგების გაუმჯობესებისათვის და ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირისა და შვეიცარიის მეგობრული და კეთილმეზობლური ურთიერთობის კიდევ უფრო განვითარებას.

პრემიერ-მინისტრმა ერლანდერმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს სთხოვა მოხერხებულ დროს ოფიციალური ვიზიტი ჩავიდეს შვეიცარიაში. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი მადლობით დათანხმდა ამ მიწვევაზე.

ამიერკავკასიის მუსიკალური ფესტივალი

დასკვნითი კონცერტი

ერევნელთა მეხსიერებაში დიდი ხნით დარჩება ივნისის ის ხუთი დღე, როცა ქალაქის საკონცერტო დარბაზებში მოვიდა „ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული".

ერევნის ტურის დასკვნითი კონცერტი 17 ივნისს გაიმართა სომხეთის ფილარმონიის დიდ დარბაზში, რომელიც ხალხით იყო გაჭედილი. კონცერტი მიეძღვნა სიმფონიურ მუსიკას.

პირველად შესრულდა გ. ახრიანის „კანტატა „სათნოვა", რომელიც დაწერილია დიდი ამოცის დაბადების 250 წლისთავის დღესასწაულისათვის.

დიდი წარმატება ხვდა წილად კ. ორბელიანის სიმფონიას. დარბაზმა მეუხარე ტაშით დაადასტურა ახალგაზრდა ავტორის დიდი შემოქმედებითი წარმატება.

ფესტივალზე შესრულდა ცნობილი საბჭოთა კომპოზიტორის, სომხეთის სსრ სახალხო არტისტის ე. მირზოიანის სიმფონია სიმებიანი ორკესტრისა და დაფდაფებისათვის.

აუდიტორიამ მეუხარე ტაშით დაჯილდოვა ა. ბაბაჯანიანის კონცერტი ჩელოსა და ორკესტრისათვის, რომელიც საოპერო დასასრულს შესრულდა. შესანიშნავება საბჭოთა მუსიკოსმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა მ. როსტროპოვიჩმა, რომელიც კონცერტში მონაწილეობდა, ბრწყინვალე ოსტატობით შეასრულა თავისი პარტია.

ფესტივალის დასკვნით კონცერტს, რომელსაც უდიდესი წარმატება ხვდა წილად, დაესწრნენ ამხანაგები ნ. ხ. არუთინიანი, ე. ტ. ასკატრიანი, ო. მ. ბაღდასარიანი, ი. ნ. ზარობიანი, ა. ე. ოჩინიანი, სომხეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მრადგილი ლ. სტეფანიანი, სომხეთის სსრ კულტურის მინისტრი რ. გ. ხაჩატრიანი.



ᲙᲔᲗᲘᲚᲘ ᲘᲧᲝᲡ ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ, ᲥᲕᲘᲠᲕᲐᲡᲝ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲝ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲝ!

ᲒᲝᲡᲚᲙᲝᲕᲘᲗ ᲩᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲔᲕᲘᲩᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ, ᲘᲣᲒᲝᲡᲚᲐᲕᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘ ᲒᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲘᲗ

ᲓᲘᲓᲘ მეგობრობისა და გულითადობის გრძნობით შეხვდა 18 ივნისს მოსკოვი იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტს, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურ მდივანს ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოს, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის მოწვევით.

ამხანაგ იოსიპ ბროზ ტიტოსა და მისი თანამგზავრების შესახვედრად ვნუკოვოს აეროდრომზე მოვიდნენ ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. პ. კირილენკო, ა. ნ. კოსიგინი, კ. ტ. მაზუროვი, ა. ი. მიკოიანი, მ. ა. სუსლოვი, ი. ვ. ანდროპოვი და სხვა ოფიციალური პირები, ასობით მოსკოველი. ჩამწკრივებული იყო მოსკოვის გარნიზონის ჯარების საპატიო ყარაული და სამხედრო ორკესტრი.

აეროდრომზე შეხვედრის დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიკოიანმა და ამხანაგმა იოსიპ ბროზ ტიტომ სიტყვები წარმოთქვეს.

ასეული ათასობით მოსკოველი გამოვიდა ქუჩებში იუგოსლავიის პრეზიდენტის შესახვედრად. ტაშით, მისასალმებელი შეძახილებით ისინი გამოხატავდნენ ძმური მეგობრობის გრძნობებს იუგოსლავიის მშრომელებისადმი, რომლებიც სოციალიზმს აშენებენ. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

სსრ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ Ა. Ე. ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ „ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲜᲘᲨᲜᲘᲡ" ᲝᲠᲓᲔᲜᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲑᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ მეცნიერების განვითარებაში დამსახურებისათვის და დაბადების სამოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე პროფესორი ანთიოზ ერასტის-ძე ასათიანი დაჯილდოდეს „საპატიო ნიშნის" ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიკოიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი. 1965 წლის 18 ივნისი.

ᲓᲐᲠᲒᲐᲖᲝᲒᲐ ᲒᲣᲙᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ

ᲑᲣᲙᲐᲠᲔᲡᲢᲘ. რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ნიკოლაე ჩაუშესკუმ მიიღო ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა გაერთიანებული შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, საბჭოთა კავშირის მარშალი ა. ა. გრეჩკო. შეხვედრის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი. (საკდესი).

ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 18 ივნისი. (საკდესი). ახალი ზეგბგერითი რეაქტიული სამგზავრო თვითმფრინავის შექმნით საბჭოთა კავშირმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ თვითმფრინავმშენებლობის დარგში, განაცხადა გუშინ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ლ. ჯონსონმა პრეს-კონფერენციაზე, რომელიც არ ყოფილა წინასწარ დანიშნული.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები ამირებენ შექმნან ზეგბგერითი სამგზავრო თვითმფრინავი. „უნდა შეგქმნათ ასეთი თვითმფრინავი, — თქვა ჯონსონმა, — თუ გვინდა შეეინარჩუნოთ ბატონობა ჰაერში".

შეეხო რა დომინგოს რესპუბლიკაში შექმნილ მდგომარეობას, პრეზიდენტმა ალნიშნა, რომ ამ უკანასკნელი ორი დღის მანძილზე სანტო-დომინგოში ამერიკის სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალებს ძალიან ცო�sელს უშენდნენ. ამერიკის სახელმწიფოთა ძალებზე ეს არაპროვოცირებული თავდასხმა, — ამტკიცებდა პრეზიდენტი, — წინასწარ მოამზადეს იმ ელემენტებმა, რომლებიც ცდილობენ ხელი შეუშალონ მშვიდობის დამყარებას სანტო-დომინგოში".

ჯონსონმა განაცხადა, როგორც შეერთებული შტატების პრეზიდენტს, იფლიბა მაქვს განვახორციელო „ყოველი ღონისძიება, რომლებიც საჭიროა" შეერთებული შტატების მიზნების მისაღწევად სამხრეთ ვიეტნამშიო.

Ა. Ნ. ᲙᲝᲡᲘᲒᲘᲜᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲢᲐᲒᲔ ᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲠᲡ

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ კრემლში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა შვეიციის პრემიერ-მინისტრს ტაგე ერლანდერს.

შეხვედრის დროს გაიმართა მეგობრული საუბარი ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირ-შვეიციის ორმხრივი ურთიერთობის საკითხებზე. (საკდესი).

ᲢᲐᲒᲔ ᲔᲠᲚᲐᲜᲓᲔᲠᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲔᲛᲒᲖᲐᲕᲠᲐ

ᲨᲕᲔᲪᲘᲘᲡ პრემიერ-მინისტრი ტაგე ერლანდერი, რომელიც საბჭოთა მთავრობის მოწვევით იმყოფებოდა ვიზიტით სსრ კავშირში, 18 ივნისს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა. (საკდესი).

ᲛᲣᲨᲘᲓᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲮᲠᲔᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ

17 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ საღამოს სხდომა კვლავ განახილავდა ნ. ს. ტახონოვის მოხსენებას და კ. ა. გუსეინოვი თანამოხსენებას.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ: ლენინგრადის საზოგადოებრიობის წარმომადგენელი ბ. ა. პოპოვი, ტაშკენტის უნივერსიტეტის რექტორი ა. ს. ხადიკოვი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს დელეგაციის მეთაური, ფინეთის პარლამენტის დეპუტატი გეიკო სვინხუვუდი, უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, უკრაინის მშვიდობის დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ვ. პ. კომისარენკო, ფრანგ მშვიდობის მომხრეთა საბჭოთა შრომის საყოველთაო კონფედერაციის მდივანი ჟან შეფერი, არმიის გენერალი, საბჭოთა კავშირის გმირი ა. ა. ლეონოვი, საბჭოთა ქალების კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი პოეტი ე. ვ. შეველევა, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი კრეტიცისა და კოლომნის მიტროპოლიტი პიმენი, მწერალი ს. ს. ნაროვჩატოვი, ეროვნულ საშუალო სკოლის მასწავლებელი ნ. ს. ცატინაანი, გაზეთ „პრავდის" მიმომხილველი ვ. ნ. ნეკრასოვი, მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრი პოეტი გ. ვ. აბაშიძე, აკადემიკოსი ე. კ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დეპუტატ გ. ჩოგოვაძის ფიქცია

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მეექვსე მოწვეევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე განსახილველად შემოტანილია საკითხი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ.

აღამიანისათვის ზრუნვა, მისი კეთილდღეობის დონის ამაღლება ყოველთვის იყო და არის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაუდებელი, უმნიშვნელოვანესი ამოცანა. ამ დიდ სახელმწიფოებრივ საქმეში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას.

მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის თანმიმდევრული ზრუნვის ნათელი დადასტურებაა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ოკეანსკელი წლების გადაწყვეტილებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.

ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 10 აგვისტოს დადგენილება, რომელშიც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ კარგად მოწყობილი ყოფაცხოვრება, მომსახურების მაღალი კულტურა, შრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებისა და ადამიანთა კომუნისტური აღზრდისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისათვის. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან შეიქმნა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველო, რომელსაც დაეკისრა ამ დარგში მოსახლეობის მომსახურების საქმისადმი ხელმძღვანელობა რესპუბლიკის ქალაქებში. სოფლად კი ამ ამოცანის განხორციელება დაეკისრა ცენკავშირს.

მუშაობის შემდგომმა მსვლელობამ დაგვანახა, რომ ჩვენი ეკონომიკის ამ მნიშვნელოვანი ობიექტების ხელმძღვანელობა თავმოყრილ უნდა იქნას ერთი სახელმწიფო ორგანიზაციის ხელში. ეს უფრო ოპერატიულსა და მოქნილს გახდიდა მეურნეობის ამ დარგისადმი ხელმძღვანელობას მთელ რესპუბლიკაში.

სრულად საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე საგრძნობლად ჩამორჩებოდა ქალაქის დონეს. ამიტომ სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოების მსუბუქი ტიპის ახალი პავილიონების შენებლობისა და სანპატრონიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზების სათავსების გამოყენების გზით. 1964 წელს რესპუბლიკის კურორტებზე გაიხსნა მთელი რიგი საყოფაცხოვრებო ობიექტები. მაგალითად, ქალაქ სოხუმში საექსპოზიციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური პავილიონი „თანამგზავრი", ბოქუაში მოსახლეობისაგან თეთრეულის გასარეცხად მისაღები პუნქტები, შენდება ფეხსაცმლის შემკეთებელი მექანიზებული სახელოსნო და წარმოების ფოტო-კინოტექნიკის რეკონსტრუქცია. გაგრაში გახსნილია კომპლექსური მომსახურების სამი პავილიონი და სამი ჯიხური ფოტომოყვანილობა მომსახურებისათვის. რიგის ტბაზე შენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური კომბინატი და კინო-ფოტოტექნიკა. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი გაფართოდა ადერბეჯანში, ქობულეთში, ფოლტეთსა და სხვა საკურორტო ქალაქებში.

1964 წელს პირველად რესპუბლიკაში შესრულდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 მილიონის 151 ათასი მანეთის მომსახურებისა, მოსახლეობას გაეწია 27 მილიონ 155 ათასი მანეთის მომსახურება, რაც გეგმის 100,01 პროცენტს შეადგენს, მათ შორის სამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 101,6 პროცენტს და არასამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 98,6 პროცენტს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო გეგმის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებმა, რომელმაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასული წლის გეგმა შეასრულეს 102,8 პროცენტით, მათ შორის სამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა—102,4 პროცენტით და არასამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა—103,3 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ ამ სამმართველოს ხელოვნი წონა რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობაში 95 პროცენტს შეადგენს.

ამასთან ერთად მთელმა რიგმა უწყებებმა, რომლებიც ადრეული ავტორიტეტებიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ვერ შეასრულეს 1964 წლის გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ისეთი სახეობანი, როგორიც არის ავტომობილების იჯარით გაცემა, ავტოსაბურავების შეკეთება-რესტავრაცია და მოსახლეობის ტვირთზიდვა, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს დაეკისრა. ეს მომსახურების ისეთი სახეობებია, რომლებიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობენ. სამწუხაროდ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გასული წლის გეგმა ვერ შეასრულა, ხოლო 1965 წლის 5 თვის გეგმა სანახევროდაც ვერ შეასრულა, ეს გარემოება კი საფრთხეშია დადებს მთლიანად რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების წლიური გეგმის შესრულების საქმეს. გეგმები ადრეული ვერ შეასრულეს სოფლისა და ყოფის სამინისტრომ, „ინტურისტმა" და სხვა უწყებებმა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი სახეობაში საგეგმო დავალებანი თუმცა წარმატებით შესრულდა, მაგრამ ძირითად სახეობათა მიხედვით გეგმები ჯერ კიდევ არ სრულდება.

ტანსაცმლის ინდივიდუალური დამზადებით შეკეთებასა და შეკეთების ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საყოფაცხოვრებო მომსახურებაში. მისი ხვედრითი წონა მომსახურების საერთო მოცულობაში 25 პროცენტს აღემატება. ამ სახეობაში გეგმის შესრულებას დაალეს 1 პროცენტი. გეგმის შეუსრულებლობაში საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებთან ერთად დანაშაული მიუძღვით ადრეთვე ვაჭრობის მუშაკებს. საქმე ის არის, რომ საგაჭრო ორგანიზაციები და მისი ბაზები ყოველთვის როდი აწვდიან ინდივიდუალური ქერვის საწარმოებს ისეთ ქსოვილებს, რომლებიც მოსახლეობაში მოწონებით სარგებლობენ.

მომსახურების ახალ, მნიშვნელოვან სახეობას წარმოადგენს საყოფაცხოვრებო ბინების შეკეთება მოსახლეობის საკუთარი სახსრებით. ამიერიდან რესპუბლიკაში არ არსებობს სპეციალური ორგანიზაცია, რომელიც მოსახლეობის საკუთარი სახსრებით ბინების შეკეთებას ეწეოდეს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში იმ პატარა ოსტატს, რომელიც შექმნილია თბილისის აღმასკომის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს სარემონტო-სამშენებლო კანტორასთან.

როგორც ჩანს, მთავარი სამმართველო და მისი ორგანოები სათანადო ოპერატიულობას ვერ იჩენენ, რის შედეგადაც მომსახურების ამ სახეობაში არსებული სარემონტო-სამშენებლო კანტორები ვერ ახერხებენ მოსახლეობის დიდი, თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სამრეცხაო, რომელიც ცალაში 10 ტონა თეთრეულს გარეცხავს. გარდა ამისა, მიმდინარე წელს თბილისში მოეწყობა ოთხი თვითმომსახურების სამრეცხაო, რომელიც ეახლესი მოწყობილობით იქნება აღჭურვილი. სამრეცხაოები აშენდა ავრეთვე ბათუმში, ფოთში, ხაშურსა და ზესტაფონში, ხოლო ზუგდიდსა და ცხინვალში, რუსთავსა და ჯრბოლეთში მშენებლობის პროცესშია.

დიდი ყურადღება ექცევა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებას რესპუბლიკის სამრეწველო ქალაქებში; ქუთაისში, რუსთავში, ბათუმში, ტყიბულში, ტყვარჩელში და სხვ. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები მოწყობილია მთელი რიგი მსხვილი სამრეწველო საწარმოებისა და ახალი საცხოვრებელი მასივების ტერიტორიებზე. მრავალ ქალაქსა და რაიონში მოსახლეობის უკეთ მომსახურებისათვის გამოყენებულია სპეციალური ავტოსახელოსნობები.

საქართველოს კპ ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ 1963 წლის 26 დეკემბერს მიიღეს ერთობლივი დადგენილება, რომელიც ითვალისწინებდა რესპუბლიკის კურორტებზე საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის გაფართოებას მსუბუქი ტიპის ახალი პავილიონების შენებლობისა და სანატორიუმების, დასასვენებელი სახლებისა და ტურისტული ბაზების სათავსების გამოყენების გზით. 1964 წელს მთელი რიგი საყოფაცხოვრებო ობიექტები. მაგალითად, ქალაქ სოხუმში საექსპოზიციოდ გადაეცა საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური პავილიონი „თანამგზავრი", ბოქუაში მოსახლეობისაგან თეთრეულის გასარეცხად მისაღები პუნქტები, შენდება ფეხსაცმლის შემკეთებელი მექანიზებული სახელოსნო და წარმოების ფოტო-კინოტექნიკის რეკონსტრუქცია. გაგრაში გახსნილია კომპლექსური მომსახურების სამი პავილიონი და სამი ჯიხური ფოტომოყვანილობა მომსახურებისათვის. რიგის ტბაზე შენდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომპლექსური კომბინატი და კინო-ფოტოტექნიკა. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების ქსელი გაფართოდა ადერბეჯანში, ქობულეთში, ფოლტეთსა და სხვა საკურორტო ქალაქებში.

1964 წელს პირველად რესპუბლიკაში შესრულდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმა. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 მილიონ 151 ათასი მანეთის მომსახურებისა, მოსახლეობას გაეწია 27 მილიონ 155 ათასი მანეთის მომსახურება, რაც გეგმის 100,01 პროცენტს შეადგენს, მათ შორის სამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 101,6 პროცენტს და არასამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა — 98,6 პროცენტს.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო გეგმის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს სისტემის საწარმოებმა, რომელმაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასული წლის გეგმა შეასრულეს 102,8 პროცენტით, მათ შორის სამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა—102,4 პროცენტით და არასამრეწველო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურებისა—103,3 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ ამ სამმართველოს ხვედრი წონა რესპუბლიკის საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობაში 95 პროცენტს შეადგენს.

ამასთან ერთად მთელმა რიგმა უწყებებმა, რომლებიც ადრეული ავტორიტეტებიდან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებას, ვერ შეასრულეს 1964 წლის გეგმა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ისეთი სახეობანი, როგორიც არის ავტომობილების იჯარით გაცემა, ავტოსაბურავების შეკეთება-რესტავრაცია და მოსახლეობის ტვირთზიდვა, საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს დაეკისრა. ეს მომსახურების ისეთი სახეობებია, რომლებიც დიდი მოთხოვნილებით სარგებლობენ. სამწუხაროდ, საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრომ გასული წლის გეგმა ვერ შეასრულა, ხოლო 1965 წლის 5 თვის გეგმა სანახევროდაც ვერ შეასრულა, ეს გარემოება კი საფრთხეშია დადებს მთლიანად რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების წლიური გეგმის შესრულების საქმეს. გეგმები ადრეული ვერ შეასრულეს სოფლისა და ყოფის სამინისტრომ, „ინტურისტმა" და სხვა უწყებებმა.

საყოფაცხოვრებო მომსახურების ზოგიერთი სახეობაში საგეგმო დავალებანი თუმცა წარმატებით შესრულდა, მაგრამ ძირითად სახეობათა მიხედვით გეგმები ჯერ კიდევ არ სრულდება.

ტანსაცმლის ინდივიდუალური დამზადებით შეკეთებასა და შეკეთების ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს საყოფაცხოვრებო

იხეკდება შემოკლებით.

კომუნისტი

მე-2 გვერდი. შაბათი, 19 ივნისი, 1965 წ.

ლოდ ერთი ასეთი ბიურო მუშაობდა, ამიერიდან კი მათმა რიცხვი 17-ს მიაღწია.

ცნობილია, თუ რა შრომატევადია დიასახლისებისათვის ბეთრეულის გარეცხვა. ეს მომქანცველი შრომა ნაწილობრივ შეამსუბუქა სოჭასხო სარეცხმა მანქანებმა. მიუხედავად ამისა, იგი მაინც რჩება ერთ-ერთ ძირძელ საქმიანობად დიასახლისებისათვის. გასა ამ მხრივ მეტად საჭირო ღონისძიება არ არის სახელმწიფო სამრეცხაოების მოწყობა? თუ კი შეკეთები დროზე და ხარისხოვნად შესრულდება, შესრულების ვადა შეკეთებისათვის ხელსაყრელი იქნება და ფასიც ხელმისაწვდომი, ამით დიდად დაეხმარებით ქალებს. რა ეფუშოგავთ დროს, რითაც ს

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მდგომარეობა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებანი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ დ. მამულაძის თანამოხსენებება

ამხანაგო დეპუტატებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მომლინარე წლის მარტის პლენუმმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ გრანდიოზული პერსპექტივები გაადაშალეს და დიდმნიშვნელოვანი ამოცანები დასახეს სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიკის შემდგომი მძლავრი განვითარებისა და ხალხის მატერიალური კეთილდღეობის მკვეთრად გაუმჯობესებისათვის.

ცნობილია, რომ აღამაღლია ყოფაცხოვრების კარგად მოწყობა, მათთვის კულტურული მომსახურების გაწევა დიდ გავლენას ახდენს ბრძოლა განწყობილებებზე, მათი შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე და, ცხადია, სახალხო მეურნეობის ყველა ტარგის განვითარებაზე. ამიტომაც მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საკითხი დიდ მნიშვნელობასა და ყურადღებას მოითხოვს.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს სესიაზე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხის განხილვას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს უსათუოდ შეუწყობს ხელს და კიდევ უფრო წარნ წაწევს ჩვენს რესპუბლიკაში შრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეს.

ამ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში ბევრი რამ გაკეთდა. საკმარისია ითქვას, რომ საგრძნობლად გაფართოდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი, ბევრ ქალაქში, რაიონის ცენტრსა და სოფლებში აშენდა ახალი კეთილმოწყობილი კომბინატები და სხვა საწარმოები, ახალი მახქანა-დანადგარებით შეიესო და მნიშვნელოვნად განმტკიცდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, დაინერგა საყოფაცხოვრებო მომსახურების ბევრი ახალი პროგრესული ფორმა და სახე. მოელმა რიგმა საწარმოებმა და სახელოსნოებმა მნიშვნელოვნად გაუმჯობესეს მომსახურების ხარისხი, აამაღლეს მისი კულტურა.

უმაღლესი საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მუდმივი კომისიის დაგალებით სესიას უნდა მოეახსენოთ, რომ, მიუხედავად ზემოაღნიშნული ეროგვარი ძიღწეევებისა, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში ჯერ კიდევ არის სერიოზული ნაკლოვანებანი.

რესპუბლიკის ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები და სხვა ობიექტები არადამაკმაყოფილებლად მუშაობენ, ხოლო მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არ უწევენ მათ საკრო დახმარებასა და კონტროლს, რის შედეგადაც მომსახურების დონე ძალიან დაბალია და ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

არადამაკმაყოფილებლად არის ორგანიზებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება სამქრ ახალქალაქის, ქარელის, კასპის, დუშეთის, ხულოს, თიანეთის, ჯავის, ახმეტისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში. ბევრ დაშორებულ სოფლებში საყოფაცხოვრებო მომსახურების არც ერთი ობიექტი არ არსებობს. ფეხსაცმლის შეკეთების, ტანსაცმლის შეკერვის, წყვილის გაპარსვის და სხვა საკრო მომსახურების ობიექტები ძირითადად მოთავსებულია ქალაქად და რაიონის ცენტრებში, სოფლის მოსახლეობას კი მომსახურება ნაკლებად ეწევა.

საჭირო სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებას. ამისათვის აუცილებელია გაიზარდოს კაპიტალური დაბანდება სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობისა და გაფართოებისათვის. საშენი მასალები და მოწყობილობა ამ მიზნისათვის უნდა გამოიყოს უფრო მეტი რაოდენობით.

როგორც აღვნიშნე, განაგრძობს ორატორი, სოფელთან შედარებით უკეთ დაკენძულია საყოფაცხოვრებო მომსახურება ქალაქად. ცხინვალში გაიხსნა ახალი ობიექტები და საწარმოები, გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი, მაგრამ საერთოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია. როგორც ძველი, ისე ახალი ობიექტები მოთავსებულია ძველ ფრო და მოუწყობელ შენობებში, ან ოთახებში, რაც არ იძლევა საშუალებას ავამაღლოთ მომსახურების კულტურა, შექმნათ აუცილებელი პირობები როგორც მოსახლეობისათვის, ასევე მომსახურე პერსონალისათვის.

მოსახლეობის მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა მშრომელთა ბინების რემონტი. თითქმის ყოველდღე მოდიან შეძახეები საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებში, მაგრამ ამ საწარმოებს არა აქვთ საშენი მასალები, საჭირო ტრანსპორტი, რომ დაკმაყოფილონ მათი მოთხოვნები, სარემონტო ბრიგადები ცდებიან, იოლეევა გეგმები. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ რათა მოვაგვაროთ ეს მტკივნეული საკითხი.

დეპუტატ

უ. ცაცვიტინიძის

სიტყვა

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას აწარმოებს და უდიდეს წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, იქმნება რეალური პირობები ადამიანთა მოთხოვნილებების სულ უფრო მეტად დაკმაყოფილებისათვის. წინა პლანზე დგება საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. ამ მხრივ მიმზვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული ქალაქ ქუთაისში. საყოფაცხოვრებო მომსახურების საუნყვნო ობიექტები გაერთიანებულია საქალაქო სამეს ალმასკომთან არსებულ მოსახლეობისა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში. შექმნილია მუშაობის ნორმალური პირობები, განახლებული და კეთილმოწყობილია არსებული საწარმოები.

ქუთაისში უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში აშენდა და გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ოცზე მეტი ახალი ობიექტი, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური ფუმაკადრით. ამით აიხსნება ის, რომ ქალაქში წლითიწლობით იზრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა. ახლა ყოველ ათას სულ მოსახლეზე ქალაქში მოდის საყოფაცხოვრებო მომსახურების 11 მუშაკი.

თაურების გეგმა, ქალაქის განაპირა უბნებში, მუშაობა დასახლებულ პუნქტებსა და ცალკეულ სოფლებში საწარმოთა განლაგების გათვალისწინებით და არსებული ნორმების დაცვით. კეთილმოწყობილია აგრეთვე მოეწყოს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მოწინავე გამოცდილების განზოგადება, დამკვეთთა კონფერენციები, გამოფენები, კონკურსები საუკეთესო მოდელების შესაქმნელად, დიდი ყურადღება მიექცეს საყოფაცხოვრებო მომსახურების რეკლამირებას.

დეპუტატ

ზ. გასიევის

სიტყვა

დეპუტატი ლაპარაკობს სამხრეთ ოსეთში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ოლქის კომერციულნორმებისა და საბჭოთა მეურნეობები არ განხორციელებულა საკმარ ღონისძიებანი მოსახლეობის მზარდ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტები ძირითადად მოთავსებულია ქალაქად და რაიონის ცენტრებში, სოფლის მოსახლეობას კი მომსახურება ნაკლებად ეწევა.

საჭიროა სერიოზული ყურადღება მივაქციოთ სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებას. ამისათვის აუცილებელია გაიზარდოს კაპიტალური დაბანდება სოფლად საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტების მშენებლობისა და გაფართოებისათვის. საშენი მასალები და მოწყობილობა ამ მიზნისათვის უნდა გამოიყოს უფრო მეტი რაოდენობით.

როგორც აღვნიშნე, განაგრძობს ორატორი, სოფელთან შედარებით უკეთ დაკენძულია საყოფაცხოვრებო მომსახურება ქალაქად. ცხინვალში გაიხსნა ახალი ობიექტები და საწარმოები, გაუმჯობესდა მომსახურების ხარისხი, მაგრამ საერთოდ საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე სამხრეთ ოსეთში ჯერ კიდევ საგრძნობლად დაბალია. როგორც ძველი, ისე ახალი ობიექტები მოთავსებულია ძველ ფრო და მოუწყობელ შენობებში, ან ოთახებში, რაც არ იძლევა საშუალებას ავამაღლოთ მომსახურების კულტურა, შექმნათ აუცილებელი პირობები როგორც მოსახლეობისათვის, ასევე მომსახურე პერსონალისათვის.

მოსახლეობის მომსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა მშრომელთა ბინების რემონტი. თითქმის ყოველდღე მოდიან შეძახეები საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატებში, მაგრამ ამ საწარმოებს არა აქვთ საშენი მასალები, საჭირო ტრანსპორტი, რომ დაკმაყოფილონ მათი მოთხოვნები, სარემონტო ბრიგადები ცდებიან, იოლეევა გეგმები. საჭიროა ყოველი ღონე ვიხმაროთ რათა მოვაგვაროთ ეს მტკივნეული საკითხი.

დეპუტატ

უ. ცაცვიტინიძის

სიტყვა

ახლა, როდესაც ჩვენი ქვეყანა კომუნიზმის გაშლილ მშენებლობას აწარმოებს და უდიდეს წარმატებებს აღწევს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, იქმნება რეალური პირობები ადამიანთა მოთხოვნილებების სულ უფრო მეტად დაკმაყოფილებისათვის. წინა პლანზე დგება საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების საკითხი. ამ მხრივ მიმზვნელოვანი სამუშაოებია შესრულებული ქალაქ ქუთაისში. საყოფაცხოვრებო მომსახურების საუნყვნო ობიექტები გაერთიანებულია საქალაქო სამეს ალმასკომთან არსებულ მოსახლეობისა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში. შექმნილია მუშაობის ნორმალური პირობები, განახლებული და კეთილმოწყობილია არსებული საწარმოები.

ქუთაისში უკანასკნელი წელიწადნახევრის განმავლობაში აშენდა და გაიხსნა საყოფაცხოვრებო მომსახურების ოცზე მეტი ახალი ობიექტი, რომლებიც დაკომპლექტებულია კვალიფიციური ფუმაკადრით. ამით აიხსნება ის, რომ ქალაქში წლითიწლობით იზრდება საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა. ახლა ყოველ ათას სულ მოსახლეზე ქალაქში მოდის საყოფაცხოვრებო მომსახურების 11 მუშაკი.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების რამდენადმე გაუკეთებია ნაბიჯები დიდად შეუწყო ხელი საწარმოთა სპეციალიზაციამ და გამსხვილებამ. ფართოდ დაინერგა პრაქტიკაში მომსახურების ახალი ფორმები და მეთოდები, როგორიცაა, მაგალითად, კომპლექსური ბრიგადების გასვლითი მომსახურება დიდ საწარმოებსა და მსხვილ დასახლებულ მასივებში მომსახურება შინ გამოძახებით, მიმდები პუნქტების საშუალებით და სხვა.

მიუხედავად გარკვეული წარმატებისა, აღნიშნავს ორატორი, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახლანდელი დონე ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში კვლავ სჭარბობს ხელის შრომა, ჯერჯერობით ლიკვიდირებული არ არის ყველაფერი წარმოება, თანაბარი არ არის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელის განლაგება ქალაქში.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურის ამაღლების, შესასრულებელ სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების გადიდების, ამასთან მომსახურების საფასურის სულ უფრო შემცირების უზრუველყოფად საჭიროა ბოლომდე გავნახო

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ

„ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜᲘ ᲭᲝᲠᲬᲘᲚᲘ“

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲗᲠᲘᲡ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ დედაქალაქის მაყურებელმა ნახა ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კიდევ ერთი ახალი სპექტაკლი — „სისხლიანი ჭორწილი“.

ტრაგედია „სისხლიანი ქორწილის“ (თარგმანი ნ. ხატისკაცისა) ავტორია ცნობილი ესპანელი პოეტი და დრამატურგი ᲤᲔᲓᲔᲠᲘᲙᲝ ᲒᲐᲠᲡᲘᲐ ᲚᲝᲠᲙᲐᲡ.

გარსია ლორკას ტრაგედიის დადგმა ქუთაისის თეატრში განახორციელა რეჟისორმა თ. ᲛᲔᲡᲮᲛᲐ. სპექტაკლის მხატვრობა ეკუთვნის შ. ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ, მუსიკალური გაფორმება — Ზ. ᲐᲖᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

სპექტაკლში მთავარი ჯახეები შექმნეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა თ. კიკნაძემ (დედა), გ. ნაცვლიშვილმა (სარძლოს მამა), თ. ღვინიაშვილმა (ლეონარდოს სიდედრი), მსახიობებმა ირ. ბალიაშვილმა (სასიძო), ლ. ვაშაკიძემ (სარძლო), ერ. სვანაძემ (ლეონარდო), თ. ლასხიშვილმა (ლეონარდოს ცოლი).

სპექტაკლი „სისხლიანი ქორწილი“ განმეორებით ნაჩვენები იქნება 24 ივნისს. დღეს და ხვალ დილით ვნახავთ ქუთათელთა მორიგ წარმოდგენას — ლევან სანიკიძის „ᲛᲔᲓᲔᲚᲐᲡ“.

Ⓜ. ᲙᲣᲙᲐᲕᲐ— ᲤᲘᲚᲝᲡᲝᲤᲘᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲝᲥᲢᲝᲠᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა თამარ გრიგოლის ასულმა კუკავამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე:

„შემეცნების თეორიის პრობლემები ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა თ. კუკავასათვის ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიკუთვნება.

„ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ“

ᲗᲔᲐᲗᲠ „ᲐᲢᲔᲚᲘᲔᲡ“ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲗᲔᲐᲗᲠ „ატელიეს“ პროგრესული მიმართულების ერთ-ერთ დამახასიათებელ ნიშანთვისებად რუსული დრამატურგიის ფართო პრობაგანდაც უნდა ჩითვალოს. 1940 წლიდან დაწყებული, როცა ანდრე ბარსაკი ჩაუდგა სათავეში ამ თეატრს, „ატელიეს“ სცენაზე განხორციელდა დოსტოევსკის „ძმები კარამაზოვები“, ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“, გოგოლის „რევიზორი“, ჩეხოვის „თოლია“, მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“. ამ ნაწარმოებთა შორის ყველაზე დიდი წარმატება ხვდა სპექტაკლს „ერთი თვე სოფლად“, რომელიც 450-ჯერ დაიდგა.

აღსანიშნავია ისიც, რომ გოგოლის „რევიზორი“, ტურგენევის „ერთი თვე სოფლად“ და მაიაკოვსკის „ბაღლინჯო“ ფრანგულად თარგმნა ანდრე ბარსაკმა.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ თბილისელმა მაყურებელმა ნახა ტურგენევის **„ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ“**, რომლის დამდგმელი და მხატვარია ანდრე ბარსაკი. მთავარი როლები შეასრულეს ივან დავიმ (არკადი ისლაევი), დელფინ სეირიგმა (ნატალია), მარსელ ეჩიამ (ანა ისლაევა), ლილიან ჯოდმ (ლიზავეტა), პ.-ჟ. მონკორბიემ (შაფე), ჟაკ ფრანსუამ (მიხაილ რაკიტინი), ბერნარ რუსლემ (ალექსი ბელაიევი) და სხვ.

დღეს ფილარმონიის თეატრში განმეორებით იქნება წარმოდგენილი ტურგენევის **„ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲔ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ“**.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

△ **ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ.** ორასამდე კაცი ესწრებოდა საღამოს, რომელიც მიეძღვნა საქართველოს გმირულ წარსულსა და სახელოვან აწმყოს.

საღამოზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ პროფესორი ა. სურგულაძე, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროფესორი ვ. დონდუა, პროფესორი მ. დუმბაძე, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატები შ. ლომსაძე და კ. ხოლოყაშვილი.

3. ᲐᲮᲛᲔᲢᲔᲚᲘ.

△ **ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲘᲡ** რაიკომთან არსებულ კოლეგიტივს (გაგგეობის თავმჯდომარე გ. ᲛᲝᲛᲔᲚᲘᲫᲔ), რომელიც ეკვეხი სოფლის კოოპერატივს აერთიანებს, მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის გადაეცა ციხეგორის გაგგეობის და სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გარდამავალი წითელი დროშა და მეორე ფულადი პრემია.

Ბ. ᲝᲥᲠᲝᲐᲫᲔ.

Ⓐ. Ⓑ. ᲑᲣᲠᲗᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ალექსანდრე (საშა) ნიკოლოზის-ძე ბურთიკაშვილი. ულმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ქართული თეატრის მოამაგე და მეგობარი, საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი და იურისტი. ძნელია შეეურიგდეთ იმ აზრს, რომ სიცოცხლითა და ხალისით, შემოქმედებითი ენერგიით და გატაცებით აღსავსე ადამიანი, რომელსაც ჯერ კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო თავისი საყვარელი ხელოვნების სასახელოდ, ჩვენს შორის აღარ არის.

ა. ბურთიკაშვილი დაიბადა 1893 წლის 2 (14) ოქტომბერს თბილისში, მუშის ოჯახში. ჯერ კიდევ ქართულ გიმნაზიაში სწავლის დროს გაიტაცა სცენამ და მისი ტრფიალი გაჰყვა მოსკოვშიც, სადაც უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე იძენდა სპეციალობას. მოწაფეობისა და სტუდენტობის დროს მონაწილეობდა სცენისმოყვარეთა წარმოდგენებში, ხელმძღვანელობდა ახალგაზრდობის დრამწრეს და თვითონაც ხშირად თამაშობდა სხვადასხვა როლში. შემდეგ რეჟისორ-მსახიობად მიიწვიეს თბილისის მუშათა ცენტრალურ კლუბში, ხოლო 1922 წელს სათავეში ჩაუდგა საგარეჯოს თეატრს, სადაც 9 წელიწადი დაპყო. ეს იყო პირველი თეატრი სოფლად, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიქმნა და ხელს უწყობდა მასების მხატვრულ აღზრდას. მერე ისევ თბილისის მუშათა თეატრი, ახალი საინტერესო როლები, მუშაობა ქართული სცენის ცნობილ ოსტატებთან. გაზეთები ქებით იხსენიებდნენ მის ნეზხამოვს (ა. ოსტროვსკის „უდანაშაულო დანაშავენი“), გიორგას (ა. ცაგარლის „რაც გინახავს, ეფლარ ნახავ“), ვანოს (ი. გედევანიშვილის „მსხვერპლი“), თანდიას (ს. შანშიაშვილის „ჭერეთის ჭმირები“), ოსვალოს (ჰ. იბსენის „მორჩენებანი“) და ბევრ სხვას.

გამოჩენილ ქართველ მსახიობებთან ერთად გამოსულამ და მათთან სიმეგობრეში [illegible] „ᲐᲢᲔᲚᲘᲔ“ [illegible] წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა. და როცა სცენის თავი დაანება, დიდი სიყვარულით, გატაცებით შეუდგა თეატრალური პორტრეტების შექმნას, მოგონებების წერას. 15 წელიწადში გამოსცა 13 წიგნი, რომელთა შორის არის „ნატო გაბუნია“, „შალვა დადიანი“, „ქართული სცენის ოსტატები“, „ალექსანდრე იმედაშვილი“, „გიორგი არადელ-იმზნელი“, „ალ. ყაზბეგი სცენაზე“, „თეატრალური პორტრეტები“. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს „ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲧᲘᲓᲘᲡᲐᲠᲘᲐ“ — პირველი ქართული მონოგრაფია გამოჩენილი საბჭოთა ქორეოგრაფის ვახტანგ ჭაბუკიანის ცხოვრება-მოღვაწეობაზე. სულ ორიოდე თვის წინათ გამოსული წიგნი ვალერიან გუნიაზე „რაინდი უშიშარი და გულმართალი“ პრესამ გულთბილად შეიფასა. მდიდარი ფაქტიური მასალა, ცოცხალი შთაბეჭდილებები, ხატოვანი და ძარღვიანი ენა, თხრობის თავისებური მანერა ყოველთვის იზიდავდა მკითხველს. მისი უკანასკნელი ნაღვაწი იყო „დღენი ჩემი ცხოვრებისა“ — შუმუარული ხასიათის ნაშრომი, რომლის დასტამბვა და მეორე ნაწილის დამთავრება ვერ მოასწრო.

ა. ბურთიკაშვილი ჟურნალ-გაზეთებში სისტემატიურად ბეჭდავდა რეცენზიებს ახალ წარმოდგენებზე, თეატრალურ პორტრეტებს, მოგონებებს.

დაგვშორდა კრისტალურად წმინდა, სათნო, ხალისიანი და საოცრად შრომასმოყვარე ადამიანი, რომლის კეთილი საქმეები, წიგნები, მოგონებები მისი ხსოვნის საუკეთესო ძეგლი იქნება.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲗᲔᲐᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲡᲢᲘᲞᲣᲛᲘ ᲚᲘᲢᲝᲜᲗᲨᲝᲛᲔᲓᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲥᲐᲚᲐᲥᲘ რიგის მოდელების სახლში მომუშავე მხატვრობა - მომოდელემ ბ. კორნმა და ლატვიის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ლიტონშემდუღების საბჭო ლაბორატორიის თანამშრომლებმა ი. ანდერსენმა და ა. კრავალისმა დაამუშავეს და დაამზადეს ლიტონშემდუღებლის სამუშაო კოსტიუმის ახალი მოდელი.

კოსტიუმი შეკერილია ბუქი-მწვანე ბამბის ქსოვილისაგან. იგი მსუბუქია, ჰუკუყის ამტანი, სამუშაოდ მეტად მოხერხებული და სრულებითაც არ აფერხებს შემდუღებელი ლი მუშის მოძრაობას, როგორც აფერხებდა და ღლიდა უხეში და მძიმე ბრეზენტისაგან შეკერილი „სპეცკოსტიუმი“.

მსუბუქი, ელასტიკური ქსოვილი, რომლისგანაც შეკერილია ლიტონშემდუღებლის ნახევარკომბინეზონი, ქურთუკი და ქუდი, ადვილად ატარებს ჰაერს, ხოლო იმის გამო, რომ ქსოვილი წინასწარ დამუშავებულია ცეცხლგამძლე შემადგენლობით, სითბოს არ ატარებს და უწვავობის თვისება აქვს.

ფოტო ნ. პაშინისა.

ᲛᲝᲙᲚᲔᲓ

ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲑᲐᲜᲡ ᲪᲮᲕᲐᲠᲡ

ᲪᲮᲕᲠᲘᲡ ზოგიერთი დაავადების წინააღმდეგ ბრძოლა შეიძლება ცხვრის გაბანებით ჰექსოქლორანის ემულსიით სავსე აბაზანაში. ადამიანებს იზდიბოდათ მრავალათასიანი ფარა ხელით გაებანებინათ. ცხოველი თავიანად უნდა ჩაეყოფოდა ბანებინათ საღებინფექციო სითხეში. ამას წინათ აუახლეთის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ინჟინრებმა შექმნეს ცხვრის ავტომატურად გასაბანებელი სპეციალური აგრეგატი.

მწყემსები ათასამდე სულისაგან შემდგარ ფარას ბაკში შერეკავენ. თვითონ აგრეგატი წარმოადგენს ოცდარვა კუბური მეტრის ტევადობის აბაზანას, რომელსაც ორთქლით გათბობის სისტემა აქვს. შემდეგ წყალში ახამენ ჰექსოქლორანჩრიოლინის ემულსიას, და სადეზინფექციო ხსნარი მზად არის. აბაზანის თავზე პლატფორმა-ლიფტია.

სამოცამდე ცხვარს გამოჰყოფენ დანარჩენი ფარისაგან. ურიკას ისინი შემდეგ მიჰყავს პლატფორმა-ლიფტთან. ცხოველებს თავიანთი ბადეს გადაფარებენ და პლატფორმას აბაზანაში ჩაუშვებენ. ბადე ცხვრებს ამოყურყუმალავებს საშუალებას არ აძლევს და ისინი თავიანად ეშვებიან ხსნარში. პლატფორმას შემდეგ ზევით ასწევენ. ოკანა ქარით ცხვრები გაპაყავთ სალექარში, სადაც ხსნარი ჩამოედინებათ ხოლმე. ხსნარს კვლავ აბრუნებენ აბაზანაში, დამუშავებულ ცხვრებს კი მათს ფარებში გზავნიან. ანალი-დანადგარის გამტარუნარიანობაა ხუთასი ცხვარი საათში, მას კი სულ სამი კაცი უწევს მომსახურება.

ᲢᲠᲐᲥᲢᲝᲠᲘ -ᲐᲛᲤᲘᲒᲘᲐ

ᲐᲛ ტრაქტორისათვის წყალში არავითარი დაბრკოლება არ არსებობს. მძლავრი მძიმე მანქანა თავისუფლად გადალახავს ხოლმე მდინარეებს, ნაკადულებსა და ტბებს. მისი საცოცელი ნიმუში შექმნეს ონეგის სატრაქტორო ქარხანაში და იგი იმუშავებს ხე-ტყის დაცურებაზე, რაც ერთ-ერთ ყველაზე მძიმე და შრომატევად ოპერაციას წარმოადგენს.

„ᲢᲓᲢ-55“ მარკის მანქანის ბაზაზე შექმნილი ტრაქტორი — ყველგანმავალი აღჭურვილია ყველა საჭირო მოწყობილობით და შეიძლება გამოყენებულ იქნას ხე-ტყის ყველა სახის დამზადებაზე: ჩაჯაროს წყალში და შეკრას მძიმე ტივები, დაშალოს ხერგილები, გაატაროს ხე-ტყე წყალმცირე უბნებზე.

540 მილიმეტრი სიგანის მუხლუხები ქმნიან მცირე ხვედრითს წნევას ნიადაგზე, მაშასადამე, ტრაქტორს თავისუფლად შეუძლია გაიაროს ჭაობებსა და ქვიშებში.

წყალში ყოფნისას ჩაირთვის საშალრენო ამძრავი — ორი მუშა ბორბალი შეიწოვს წყალს და ძალით გასტყორცნის წინ ან უკან, რითაც ტრაქტორისტს თავისუფლად მანევრირების საშუალებას ძლევს.

ამფიბიის ძრავი დიზელისაა, აქვს სტარტერი და ტურბონასაბერი. მისი სიმძლავრეა 90 ცხენის ძალა.

ტრაქტორის შექმნისას კონსტრუქტორები ცდილობდნენ მაქსიმალურად გამოეყენებინათ არსებული მანქანების კვანძები და დეტალები. მაგალითად, სიჩქარეთა კოლოფი, წამყვანი ხიდი, ჯალამბარი. ელექტრომოწყობილობისა და ჰიდროსისტემის ძირითადი ნაწილი აღებულია ტრაქტორ „ᲢᲓᲢ-55“-დან, ხოლო ქარდანის ლილვები — ავტომანქანა „ᲒᲐᲖ-63“-დან.

ორდოლიან რევერსიულ ჯალამბარს, რომლითაც აღჭურვილია ტრაქტორი, აამოქმედებს ხოლმე ჯაჭვური გადაცემა რედუქტორის მეშვეობით. შესაცვლელი საკიდი მოწყობილობა ადვილად გადააქცევს ამფიბიას ბულდოზერად ან მორსაბიძგელად.

ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ ᲑᲐᲜᲡ ᲪᲮᲕᲐᲠᲡ

ᲚᲘᲢᲝᲜᲗᲨᲝᲛᲔᲓᲣᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ

ᲓᲐᲣᲜᲐᲠᲔᲚᲘ და მარჯვე კაცია ჩვენი ბრიგადირი იგი დილის რიჟრაჟზე ამობაელ მზის სხივებს ასწრებს ადგომას. როცა სხვა ბრიგადირები ძილში მეცხრე სიზმარს ხედავდნენ, „მეკარაკაცა“ ს